საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/05/2026

MES 0 26 0000515015

გადაწყვეტილება

"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 13 ივნისის № 686426 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №514454, 01.05.2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 13 ივნისის №686426 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და გადაწყვეტილების დანართ №1-ის მე-18 პუნქტში. შევიდეს ცვლილება და "სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს - 2027 წლის 1 აპრილამდე.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 1 მაისის სხდომის № 514454 ოქმის №19 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე